№ 149
ხუთშაბათი, 14 ივლისი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
0	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 149
ხუთშაბათი, 14 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთი დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

საკომერციო კურსები

ქალებია და ვაჟებისათვი

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ხოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუჟელიანცს, ტფილისს.

(24—1297—4)

ტფილისი, 14 ივლისს

—

ეს 18 წელიწადია, რაც ბულგარის ერის ბედი მთელის ევროპის სალაპარაკოდ და საზრუნველად არის გამხდარი. მერე, რითი დაიმსახურა პატარა ბულგარიამ ასეთი ყურადღება განათლებულის ევროპისა? თითონ ბულგარის ერია ასეთი ძვირფასი და საჭირო წევრი ევროპის წარმატებისათვის, თუ წარსული ამ ქვეყნისა განსხვავებულს უფლებას აძლევს, რომ ევროპამ თავისი მფარველობის კალთა გადააფაროს იმის აწმყოსა და მომავალს?

არა, ამ მოსაზრებას აქ ადგილი არა აქვს. ბულგარის ერი ისეთი შეუმჩნეველი და მცირე ერია, რომლის მსგავსი სხვაგან მრავალი მოიპოვება, მაგრამ იმისი გეოგრაფიული მდებარეობა ჰხდის ბულგარიას, არა თუ საინტერესოდ, არამედ საფრთხილო ერად, რომელზედაც დამოკიდებულია მრავალი დიდი და თვალსაჩინო ინტერესი ევროპის სახელმწიფოებისა.

დასამტკიცებლად ჩვენის აზრისა, გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი თავისუფლების ძიებისა ამ ორმოცდა-ათის წლის განმავლობაში დაჩაგრულ ერთაგან. რომელმა ევროპის სახელმწიფომ აღიღო მახვილი, რომ უნგრეთისაგან აღმართულ თავისუფლების დროშისათვის მომხრეობა გაეწია და სამართლიანი მოთხოვნილება უნგართა დამოუკიდებლად ცხოვრებისა კანონიერად ეცნო?

ვინ წინააღუდგა პატარა დანიის გაძარცვას შლეზვიგისა და ჰოლშტეინის ჩამორთმევას—ორის დიდის სახელმწიფოსაგან—ავსტრიისა და პრუსიისაგან?

ვინ დაუშალა ნაპოლეონ III-ს გარიბალდის სამშობლოს—ნიცის—წართმევა იმ დროს, როდესაც იტალია ომისაგან დაღალული და გაჭირვებული იყო?

უკანასკნელად ვინ აღამაღლა ხმა, როდესაც ამავე ევროპაში მრავალმა პატარა ერმა საუკუნოდ დაჰკარგა თავის თვით-არსებობა და იძულებული ძლიერის მტერისაგან გადაჰხვეწა თავის ძვირფასის სამშობლოდან, განქრა დედამიწის ზურგიდან?!.

ამ ხნის განმავლობაში განათლებულმა ევროპამ ბევრი უსამართლობა და შემაძრწუნებელი სურათი იხილა, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის, მრავალის მსხვერპლის შეწირვას დაესწრო, ნახა როგორ შეიბღალა ადამიანის უფლება და ერთად-ერთი სასწორი სამართლისა შეიქნა ძალა, ძალა ველური—მტერი ყოველის სინათლისა და ჭეშმარიტებისა!

ყოველი ესე განათლებულის ევროპის თვალწინ მოხდა, მაგრამ კეთილშობილი ევროპა სდუმდა, და სდუმდა იმიტომ, რომ ამ უსამართლობასა და შემაძრწუნებელ საქმეებში ჩარევით თავისთვის არავითარს სარგებლობას არ გამოელოდა.

მაგრამ ბულგარიის საქმე სულ სხვაა; ბულგარია ევროპის შუაგულ მდებარეობს; ბულგარია პირველი ნაბიჯია სტამბოლის დასაპყრობად რუსეთისაგან, და აი, სად არის კვანძი და მიზეზი იმ სიფრთხილისა, რომელიც ევროპა აჩენს ამ ქვეყნის ბედის შესახებ.

როდესაც ერთი კაცი მეორეს ატყუებს—ამას სიცრუევე ჰქვიან და კანონი სჯის; მაგრამ, როდესაც ერთი ერი მეორეს ატყუებს—ამას-კი პოლიტიკა ეწოდება, რომელიც დღეს მოწონებულია და დაჯილდოებულია მსოფლიო თანაგრძნობით!

როდესაც ერთი კაცი მეორეს რასმეს ძალით ართმევს ან სიცოცხლეს უსპობს თავის მოპირისპირეს—შემაძრწუნებელი ავაზაკობაა, რომლისათვის დამნაშავეს კანონი სასტიკად სჯის. ხოლო, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორეს ძალით მამულსა და მიწა წყალს ართმევს, ქვეყანას უნადგურებს და აუარებელს ხალხს უხოცავს, ხშირად ბავშვებსა და დედაკაცებსაცკი—ამას გამარჯვება ჰქვიან და ამის მომქმედთ ქვეყანა დაფნის გვირგვინით ამკობს, საგალობელს და სიმღერას უთხზავს, თაყვანსა სცემს!

ამ გვარად არეულია ახლანდელი აზრი კაცობრიობისა და როგორ გნებავთ, რომ სიმართლემ ფეხი მოიდგას და კაცი თავისუფლად ცხოვრებას ელირსოს?!.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ბულგარიას. ამ ქვეყნის 18 წლის თავისუფლებამ დაამტკიცა, რომ თითქმის ყოველიფერი ბედზედ ყოფილა დამოკიდებული. ბულგარია, რომელიც დღეს ევროპის საყურადღებო ქვეყნად შექნილა, რას წარმოადგენდა სადმე განაპირ ადგილზედ რომ მიეჩინა ბედს იმისთვის სამყოფელი ბინა? უეჭველია, არავის არ გაახსენდებოდა, რაც უნდა გასაჭირში ჩავარდნილიყო, და საკუთარ ბედის ამარად იქნებოდა დატოვებული!..

მაგრამ იგივე ბულგარია, რადგან სტამბოლის გზაზეა, ფრიად დიდ-მნიშვნელოვან ქვეყნად გადაიქცა და თითოეულის იმის მოღვაწის მოქმედება და სიტყვა ათას გვარად არის გარჩეული და განმარტებული.

გარეშე მაყურებელს ბულგარნი მართლა ისეთ ხალხად მოეჩვენება, რომელთა პოლიტიკური განვითარება და ნიჭი სანატრელი იყოს! მაგრამ ვინც ახლო იცნობს ამ ქვეყანას და მის უკეთესს წარმომადგენლებს, იცის, რომ არავითარი განსხვავებული განათლება და ნიჭი ბულგარიაში არ მოიპოვება. და ყოველი ის, რასაც ვხედავთ ამ ჟამად, პირდაპირი შედეგია მხოლოდ განთავისუფლებულის ერის ცხოვრებისა.

ბულგარიასა და სხვა დამონებულ ქვეყნებ შორის ის განსხვავებაა, რომ ბულგარიას დუშაში მოუვიდა თავის გეოგრაფიულ მდებარეობის წყალობით და სხვისთვის ამ დუშაშის დრო—ჯერ არ დამდგარა.

მეველე

◆

დეპეშა

12 ივნისი

პეტერბურგი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ გუშინ დაბრუნ-

ფელეტონი

—

ნაწყვეტები

—

ვიჯექ და ცრემლი მდიოდა
მთის ძირსა შამბნარ-წყლიანსა,
ვწყევლიდი წუთისოფელსა
ცრუსა და ღალატიანსა:
ცილსა მწამებდნენ მართალსა,
დღეს მიშავებდნენ მზიანსა,
ქვითინით ვსთხოვდი შველასა
იესო სამართლიანსა.

დ. მაჩხანელი

◆

წერილი სამტრედიიდან

(ბაზრობა.—განათლება. — სასწავლებლებისა და წიგნთ-საცავ- სამკითხველოების საქმე).

მთელს იმერეთში. ვერც ერთი დაბა ვერ შეედრებოდა ორპირს საზოგადოდ ვაჭრობითა და ცხოვრების მოძრაობით, მაგრამ დროთა ვითარებამ და ნამეტნავად რკინის გზის გაყვანამ მოუღო ბოლო ორპირს და სადაც ცეცხლის გემები მიადგებოდნენ იმის ნავთსაყუდელს, ეხლა იქ ძლივსა ჰპუტავს ორიოდე ხის დანგრეული დუქანი. ამის ნაცვლად აღორძინდა და იცვალა ფერი სამტრედიამ, რომელიც გადიქცა ვაჭრობისა და მოძრაობის მოედნად და ამ მხრით დიდი ბედ-იღბალი მოელის მომავალში.

ამ ოც-და-ათი წლის წინად, რომ ვინმე აღმოჩენილიყო მსურველი მთელს სამტრედიას იყიდდა ას მანეთად. ეხლა, როდესაც ტყე გაიკაფა, რკინის გზის სადგური დაარსდა, დუქნები გაჩაღდა, აშენდა ორ-სართულიანი სახლები, გაკეთდა მშვენიერი ქუჩები, ადგილსაც ისეთი ფასი დაედო, რომ არა მგონია სატახტო ქალაქშიაც ისე ძვირი იყოს ადგილი, როგორც აქა: ერთი მცირე სადუქნე ადგილი რვაას მანეთზედ ნაკლები არა ჯდება და თუმცა მყიდველთა რიცხვი თანდათან ჰმატულობს, მაგრამ გასაყიდელიც არ მოიპოვება. არა თუ მახლობელ სოფლების მკვიდრთ იზიდავს სამტრედია, არამედ იმასაკენ მიეშურებიან ტფილისელები, ახალციხელები და სხვა ადგილის მოქალაქენი და, იქ ბინადრდებიან.

ამ მოვაჭრეთა რიცხვმა მას აქეთ იმატა, რაც აქ დაარსდა ბაზრობა პარასკეობით. როგორც მოგეხსენებათ, პარასკეობა დიდიხნიდგან არის დაარსებული დ. ხონში და დიდ-ძალს ხალხს იზიდავდა ყოველი კუთხიდგან ძალა-უნებურად, თუმცა მისი სიშორე ძლიერ აწუხებდა შორეულ სოფლებს. როგორც-კი ყური მოჰკრა ხონმა, რომ მოცილედ გამომიჩნდა სამტრედიაო, მაშინვე მიიღო ყოველ გვარი საშუალება მისდა დასაბრკოლებლად, მაგრამ მთავრობამ შეიწყნარა სამტრედიის და მახლობელ სოფელთა საფუძვლიანი თხოვნა და, დაარსა პარასკეობა სამტრედიაში, ეს ოთხი წელიწადია მას აქეთ. ამ ნაირად საშუალება მიეცა სამტრედიის თავის ხელით ნამოქმედარის და ნაშრომის გასაღებისა.

„კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირნახირაო“, ნათქვამია, და ეს ანდაზა გაამართლა ჯიხაიშმა და საჯავახომ, რომელთაც მთავრობას თავი მოაბეზრეს თხოვნით და ვითომც გაჩაღეს ბაზრობა: პირველმა ოთხშაბათობა და მეორემ პარასკეობა; მაგრამ შენი მტერია როგორც ის მალე მიიფშუტოს. ყოველ კუთხეში ბაზრობის დაარსება და მერე ისიც სხვა-და-სხვა დღეს, ჩემის აზრით სასარგებლო არ არის. რომ ეს ასეა, ამის დაწვრილებით განმარტებას არ შევუდგებით, რადგან შორს წაგვიყვანს და აგვაცდენს პირდაპირ საგანს. საკვირველია რომ სამტრედიას, კულაში აღმოუჩნდა მოცილედ. უეცრად ელვასავით გავარდა ხმა, რომ კულაში ურიების მახლობლად თხოულობენ პარასკეობასაო, და ორს კარგად შეძლებულს თავად მიქელაძეს მიუმართავს კიდეც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის თხოვნით, ნებართვა მოგვეცით ბაზრობის დაარსებისა საკუთარს ეზოში ებრაელთა მახლობლადაო. ამ ამბავმა თავზარი დასცა სამტრედიის მოვაჭრეთა და დიდ შიშში ჩააგდო, ვაი, თუ ბაზრობა წაგვერთვესო''. გაგზავნეს თხოვნა მთავრობასთან, დაიქირავეს ვექილი თ. ჩიკვაიძე, რომელიც, როგორც ყოველი ვექილი, ჩვეულებრივ აზვიადებდა საქმეს, თუმცა იმავე დროს აიმედებდა სამტრედიის მოვაჭრეთ, რომ თქვენ მოწინააღმდეგეთა ვაჯობებო. ქუთაისის გუბერნატორმა ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად გამოჰგზავნა მოხელე მალჟევსკი და მაზრის უფროსი თავადი დადეშქელიანი, რომელთაც ეგონათ, რომ მხოლოდ მოხსენებულნი თავადნი იყვნენ მსურველნი პარასკეობისა, მაგრამ ამ საქმის მსურველი კიდევ აღმოჩნდა ექვსამდის სხვა თავადი. თითოეული მათგანი სთხოვდა მთავრობას წარმომადგენელთ, ბაზრის მოთავსებას იმის საკუთარს ეზოში, რასაკვირველია, რომელიც მათის შეხედულობით საუმჯობესო აღმოჩნდებოდა. შეჰყარეს ყრილობა, რომელსაც პატივცემულნი სტუმრები ეკითხებოდნენ: გსურთ ბაზრობა კულაშში თუ არა, რა დღეს და ვის ეზოშიო? საზოგადოება გაიყო რამდენსამე დასად, ზოგი, თითქმის ნახევარი, წინააღმდეგი იყო ბაზრობის დაარსებისა კულაშში და მიეკედლნენ სამტრედიას; სხვები თავიანთ მებატონეთა პატივისცემის გამო დასთანხმდნენ, მაგრამ ვერ მორიგდნენ საბაზრო ადგილის ამორჩევისა გამო და ამისთანა მონასტრის არევას ის მოჰყვა, რომ ყველას თხოვნა უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

ერთი პატივცემული თავადი „ნო-

დნენ ფინლიანდიიდგან პეტერგოფს.

გამოცხადებულ იქმნა განკარგულება იმის შესახებ, რომ ყველა ებრაელებმა, უკანონოდ მცხოვრებმა იმპერიაში, ამოირჩიონ, თავისის ვაჭრობისა და სამრეწველო მოღვაწეობის შესაფერად, სავაჭრო საბუთის ქაღალდები აწინდელ ცხოვრების ადგილსავე იმ დრომდე, ვიდრე გადასახლებულ არ იქმნებიან სამუდამო საბინადრო ადგილებში, რის გადასახლების ვადაც დადგენილია 1894 წლის 21 ივლისის უმაღლესს ბრძანებაში.

ახალი ამბავი

⁂ როგორც ამას წინად გვქონდა ნაუწყები, ქართველ არტისტებს უნდა მოელაპარაკნათ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წინადადების შესახებ, რა რიგად გამართონ მომავალ ზამთრის სეზონში წარმოდგენები. არტისტებს ჰქონიათ კიდეც ამის შესახებ ბაასი და გადუწყვეტიათ: იმ შემთხვევაში, თუ დრამატიულმა საზოგადოებამ უარი სთქვა, თითონ შეადგინონ ამხანაგობა საუკეთესო არტისტებისა და დანარჩენნიც მოიწვიონ ხოლმე წარმოდგენაში მონაწილეობისათვის. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას დრამატიულ საზოგადოების დახმარებით აპირებენ. ეს გადაწყვეტილება, გაზ. „Нов. Обоз.»-სიტყვით, გადაუციათ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარისათვის, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს, ამ საზოგადოების წევრთ, ახალს კერძო კრებას. ეს კერძო კრება იქმნება პარასკევს, საღამოს 8 საათზედ, საადგილმამულო ბანკის დარბაზში.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულია ცვლილებანი სამკურნალო ნაწილისა ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში შემოსაღებად, სადაც სამხედრო-საერო მმართველობა არსებობს. ახალის შტატებით სამკურნალო მოხელენი ყარსის და დაღესტნის თემისა, ზაქათალის, სუხუმისა, ბათუმისა და ართვინის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიისა ექვემდებარებიან კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის სამმართველოს; ამასთანავე ყარსისა, თემირხანშურისა და ზაქათალის ოლქის მკურნალნი საგუბერნიო მკურნალთა უფლებით ემორჩილებიან დამოუკიდებლად კავკასიის სამკურნალო სამმართველოს; ბათუმისა, სუხუმისა და ართვინის საოლქო მკურნალნი-კი—ქუთაისის გუბერნიის სამკურნალო გამგეობას.

⁂ 1 აგვისტოს, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, ასხაბადში იქნება დაარსებული ორი ახალი განყოფილება სახელმწიფო ბანკისა.

⁂ ჩვენ გვაუწყებენ რომ ცხენის რკინის გზის მატარებლის მიერ გასრესილი ბავში, რომლის ამბავიც ჩვენს გუშინდელს გაზეთში დასტამბულია, ყოფილა გუმბრის მცხოვრებელი ამაზასპ ტერ-სააკოვი, 8 წლისა.

⁂ ჩვენ მოგვივიდა მღვდლის ვ. გ. კარბელაშვილის საკუთრებითა და რედაქციით გამოცემული ღუთივ შვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსაც ეწოდების „გვირგვინი“ (დასასრული) თავი მეხუთე მიცვალებულთათვის და ღირსთა დედათათვის.

⁂ გაზ. „Нов. Обоз.“-ის სიტყვით, პრივატ—დოცენტი კიევის უნივერსიტეტისა ა. ნ. გრენი ამ ჟამად ს. მცხეთაში, სხვა არქეოლოგებთან ერთად, საარქეოლოგიო ძიება კვლევაშია. ამ მოკლე ხანში იგი აპირებს წაიკითხოს ლექცია: 1) აღმოსავლეთის ლექსნი სიყვარულისანი და ძველი კულტურა აფროდიტისა და 2) სომეხთა ამბოხება.

⁂ ამ ჟამად, რაკი შავის ზღვის ნაპირები განსაზღრულ იქმნა, გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აბხაზეთს და იმის ზნეობრივს და ეკონომიურს განვითარებას. განზრახულია გაძლიერებულ იქმნას მისსიონერთა მოქმედება, დაინიშნოს საკმარისი რიცხვი სამღვდელოებისა, რომელთაც აბხაზური და სხვა მთიულების ენა უნდა იცოდნენ და ეცადნენ გაავრცელონ რუსული ენა იქით მხარეს. აგრეთვე განზრახულია შემწეობა მისცენ აბხაზთ, კარგად შეისწავლონ სასოფლო მეურნეობა ძ ბაღოსნობა, ე. ი. ის შრომა, რომელიც აბხაზს ყველაზედ მეტად უყვარს და ეხერხება.

⁂ 10 ივლისს სატიოზედ ქარელელმა გლეხ-კაცმა გაჰყიდა თავისი ტივები ოც თუმნად. ერთი ტივიც დარჩა გასაყიდი, რომელიც გაღმა ყოფილიყო დაბმული და გამოღმა უნდა გამოეტანათ. ტანისამოსი გაიხადა და ტივზე დააწყო, გამოტანის დროს ტივი დაიშალა, ამ დროს საჩქაროდ წამოავლო ტანისამოსს ხელი, ახალუხის ჯიბიდგან გამოვარდა ქისა, რომელშიაც ოცი თუმანი ჰქონდა, და წყალში ჩაუვარდა. იმ კაცის მწუხარებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ბევრი ეძებეს წყალში ქისა, მაგრამ ვეღარ იპოვნეს.

⁂ 12 ივლისს ავლბარში მცხოვრებელნი სიმონ და ხეჩო ტერ-არუთინოვები წაიჩხუბნენ და ერთმანეთი დანით და მაკრატლით დასჭრეს. სიმონ არუთინოვი მძიმედ დაშავდა და სმკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს პოლიციელებმა შეიპყრეს ხაჩარ აკოფ-ხარაზოვი და ს. მუხრანის მცხოვრებელი შაქრო ბიჭიაშვილი, რომელთაც განოვის ქუჩაზედ საფაროვის ქარხნიდგან სხვა-და-სხვა ნივთეული მოეპარათ და მიჰქონდათ. ბიჭიაშვილი წინადაც შემჩნეული ყოფილა ქურდობაში.

დამაკვირდი

მშვენიერება ხასიათისა აოცებს ადამიანს, მშვენიერება სულისა—პატივისცემას უნერგავს გულში, მშვენიერება სხეულისა—სიყვარულს უბადებს.

საფირის ლექსიკ.

⁑

ვინც თავისს ცუდად აღზრდილს შვილებს საყვედურს ეუბნება, იგი თავისს თავსა ჰკიცხავს.

არაბული ანდაზა

*

რაც უფრო ბევრი ცოდნა გაქვს, მით უფრო ბევრია დარჩენილი საცოდნელი და შესასწავლი. ცოდნასთან ერთად თვალწინ გვეშლება ჩვენი უვიცობა და უცოდინარობა.

შლეგელი

კორესპონდენცია

სოფ. აწყური. (კახეთი): 8 ივლისი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შეგვაწუხა ამ უამინდობამ და უდრო-ოდროს ქარებმა, ერთი სიტყვით, ჩვენი ვენახები და ყანები დედამიწასთან არის გასწორებული. რასაკვირველია, კარგს არას მოასწავებს ეს ამინდი, ეს იყო ყანები ეხლა გაიჭრა და დიდს უპურობას ვამჩნევთ. მაინც ეს ჩვენი სოფლები ძალიან უკან არის დარჩენილი. მოსავლით, მირთალია, შარშანდელმა ღვინის მოსავალმა ძალიან შეღავათი მისცა აქაურს მემამულეებს, კიდეც გაიძახოდნენ, რომ „ღმერთო, შენის იმედით, კარგი მოსავლები უწინდებურათ მოგვიბრუნდაო“, მაგრამ წელსკი ისე დაგვწყვიტა გული ამ უამინდობამ, რომ აღარ გვინდა შევიდეთ ჩვენს მამულში. სიმინდებისგან ხომ ხელი აგვაღებინა წრევანდელმა ქარებმა და გვალვამ.

ამ ჩვენის სისაწყლითა და მოუსავლობით დადარდიანებულს ხალხს ნუგეშად ის-ღა აქვს, რომ ეხლა ჩვენში სასწავლებელი დაარსდა, ჩვენ შვილებს ვასწავლით იქნება ღმერთმა გადმოგვხედოს და იმათაც ისე არ გაუჭირდეთ ცხოვრება, როგორც ჩვენ გვიჭირს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი სასწავლებელი მტრის თვალისათვისაც-კი სისიამოვნოა. ამ სოფელში უმეტესად აზნაურ-შვილები სხოვრებენ და ისე უმართავენ ხელს მასწავლებელს, რომ თუ ვინიცობაა ის იქ არ არის, თითონა კისრულებენ მის შრომას. ამავე სასწავლებელში ასწავლიან მებაღეობას, აბრეშუმის მოყვანას, და ყოველსავე საოჯახო საქმეს. სასწავლებელი ისეთს ალაგას სდგას რომ იქიდამ თითქმის ნახევარი კახეთი სჩანს. გლეხი ხალხი სასოებით ეკიდება სწავლას, მაგრამ ეს მოუსავლობა დიდად უცარავს ხელს, ბევრი ყმაწვილია დარჩენილი სასწავლებელს გარეშე, რადგან ფული არა აქვთ, რომ წიგნი უყიდონ და ისე ასწავლონ.

გიგლო აწყურელი

სოფ. გლდანი, 5 ივლისი. თუმცა გაზეთებში ყოველ მხრიდამ იწერება ამბავი სასიამოვნოცა და სამწუხაროც, მაგრამ ჩვენი სოფლიდგან არაფერი ისმის-რა. იმიტომ კი არა, რასაკვირველია, რომ ვითომ ჩვენში არც სასიამოვნო და არც სამწუხარო არა ხდებოდეს-რა, არამედ იმიტომ, რომ გულ-შემატკივარი არავინა გვყავს. ჩვენი სოფელი არც დიდია და არც ძალიან პატარა, ას ორმოც კომლამდის მცხოვრები ითვლება, ამათში ათი კომლი ქართველია და დანარჩენი სომხობა. ამ პატარა სოფელში ხუთი დუქანია მიკიტნისა. ისინი მდიდრდებიან და ჩვენ ვსაცოდავდებით. დუქანი კრიჭაში გვიდგას და ვერავინ ასცდება; დედაკაცი წყალს ვერ მოიტანს, თუ დუქნის კარებზე არ გაიარა; კაცები კვირა უქმე დღეს სულ დუქნებში ალამებენ. ვინც დუქანში არ დაიარება იმას კაცად არ აგდებენ, აბუჩად ჰყავთ აღებული. დუქნის კარებთან გაივლის თუ არა, თითონ რომ არ უნდოდეს შესვლა, ძალით შეჰყავთ.

დუქნებს ჯანი გავარდეს, მეტად უსამართლოდ გვექცევიან მიკიტნები; არც ნიხრია იმათთვის, არც საწყაო და არც სასწორი, როგორც თავიანთი ნებაა ისე ჰყიდიან, პატრონი არავინ არის. ვინც სოფლის უფროსია და ხმა აქვს, იმას, ორი დუქანი აქვს და სხვებს რაღა ნიხრსა და საწყაო საწონს დაუწესებს. რაც მთელს გლეხკაცობას შეძლება აქვს ის ერთს მიკიტანს ექმნება. ისე ჰყავთ მიკიტნებს გლეხკაცობა ხელში დაჭერილი, რომ იმათ შესახებ ხმას ვერ ამოიღებენ, ეშინიანთ. თუმცა ეხლა და, ეხლა გაიგეს, დუქნების გაღება სოფლის ნება ყოფილაო, მაინც ვერასა ხდებიან, ისე ჩუმად ახერხებენ მიკიტნები ხელის მოწერას, სო-

---

ვოე ობოზ.“-ში საყოველთაოდ გვიმტკიცებდა იმ აზრს, რომ ბაზრობის დაარსება ვითომ დიდს სარგებლობას მოუტანს ადგილობრივს თავადებს, მაგრამ ამისთანა მოსაზრება უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ როგორც ისინი, აგრეთვე აზნაურნი და სამღვდელონი, სამწუხაროდ, მოკლებულნი არიან შეძლებას, რომ საკუთარს ოჯახებში ნამოქმედარი და ნაშრომი გამოიტანონ სავაჭრო მოედანზედ. არ იქნება გაზვიადებული ის მოსაზრებაც, რომ ბაზრის სიახლოვე უფრო ვნებას მოუტანდა, ვიდრე სარგებლობას, რადგან იმათი ოჯახები შეიქმნებოდა მასპინძლობის ბუდედ ყოველ ნაცნობთა და ნათესავთათვის პარასკეობაზედ მოსულ სტუმართათვის. პირველად, თუმცა თავად მიქელაძეებმა აღძრეს ლაპარაკი პარასკეობის შესახებ, მაგრამ უმთავრესნი მიზეზნი კულაშელნი ებრაელნი იყვნენ და დავარწმუნებთ ყველას, რომ თავადნი მიქელაძენი იმდენად შეგნებულნი არიან, რომ თითონ[illegible] ჰგრძნობდნენ ორის ბაზრის უსარგებლობას ერთმანეთისაგან ოთხის ვერსით დაშორებულს სოფლებში.

ზევით მოვიხსენიე, რომ ებრაელნი იყვნენ მიზეზნი-მეთქი, რაც კიდეც შემიძლიან დავასაბუთო: როგორც მოგეხსენებათ, ებრაელების რიცხვი კულაშში აღემატება ასს კომლს და ისინი ისეთს სივიწროვესა ჰგრძნობენ, რომ იძულებულნი არიან ერთ ქცევა ადგილზედ ათ კომლამდე მოთავსდნენ. ამისთანა სივიწროვისა და, რაც ამისვე შედეგია, უსუფთაობისაგან ყოველ გვარი სენი პირველად ებრაელთა შორის ჩნდება და შემდეგ ედება მთელს სოფელს. იმათ ახალ კანონ-დებულების ძალით, ნება არა აქვთ ადგილის შეძენისა და მოვა დრო, როდესაც თავიანთ ეზოში ფეხის დასადგმელს ადგილსაც ვერ იშოვნიან. აი ამ გარემოებამ აიძულა ებრაელნი შეეწუხებინათ თავადნი დ. და კ. მიქელაძენი, რათა უკანასკნელთ მიეცათ იმათთვის იქვე ახლო მდებარე ორმოცი ქცევა ადგილი, სავაჭრო მოედნად. ურიების განზრახვა იყო იქვე მოეპოვებინათ სამოსახლო ეზო. ჩემის აზრით, ეხლავე უნდა იზრუნოს როგორც საზოგადოებამ, ისე მთავრობამ ებრაელთა შევიწროებულ მდგომარეობისათვის, თორემ სოფელ კულაშს ცუდი ბოლო მოელის ჰიგიენის მხრივ.

ასე და ამ ნაირად პარასკეობა სამუდამოდ დაარსდა დაბა სამტრედიაში ოთხი წელიწადია მას აქეთ და დიდი სარგებლობაც მოუტანა აქაურ მკვიდრთ. მაგრამ წრევანდელმა წელმა გაათახსირა და მიწასთან გაასწორა როგორც მოვაჭრეთა, აგრეთვე სოფლელების ნივთიერი მდგომარეობა. პირველი და უმთავრესი მიზეზი ვაჭრობის დაცემისა, სიმინდის ფასის შესამჩნევლად დაკლებაა. წრევანდელმა წელმა ყველას თვალ-საჩინოდ დაანახვა, რომ ყოველი მოძრაობა სიმინდის ვაჭრობაზედ ყოფილა დამყარებული. ეხლა სიმინდი ფუთი 7 შაური ჰღირს და ისიც გადარჩეული და გადაბერტყილი, როდესაც წარსულ წლებში, გარდა იმისა, რომ ფუთი სამ აბაზზედ მეტად იყიდებოდა, ნახევარი დამპალიც რომ ყოფილიყო, მაინც ვინ იყო გამკითხავი და დამწუნებელი. საწყალი ვაჭრები გულხელ დაკრეფილნი სხედან თავიანთ დუქნების წინ და ყველას შესტირიან ამ დღიურს ვარამს. ისე დაეცა ვაჭრობა, რომ ზოგიერთნი მევაჭრენი დღეში აბაზის მომგებნი არ არიან და თუ მომავალ წელშიაც სიმინდს ფასი არ მოემატა, ბევრი დუქანი დაიკეტება და დიდი სიძვირეც ჩამოვარდება ფულისა. ამ შემთხვევაში ყველაზედ უფრო სავალალო და სამწუხარო თავად-აზნაურობას აქვს, რომლის პირველი და უკანასკნელი საღსარი ცხოვრებისა სიმინდია და თუ უკაცრავად არ ვიქნები, სამღვდელოებაც იმავე ტაფაში იწვის, რადგან მღვდელი რას მიიღებს, თუ მრევლს არაფერი აქვს. ეს დაგვიმტკიცა კიდეც ამ წელმა და ღმერთმა ნუ ინებოს მომავალში, რომ სიმინდის ვაჭრობა სასურველს ნიადაგზედ არ დამყარდეს თორემ სრულიად გაგვანადგურებს...

იმის მაგიერად, რომ სამტრედიის მოვაჭრეები ამისთანა დაცემულს დროს შეერთდნენ, ხელი ხელს მისცენ და ჯეროვანი ღონისძიება მიიღონ ვაჭრობის აღსადგენად—რადგან შეერთებულს ძალას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის წინ მსვლელობისათვის, ისინი დას-დასებად განაწილებულან და ერთმანეთს აღარ ეკარებიან. უმთავრესი იმათის განხეთქილების მიზეზი საბაზრო მოედანის ამორჩევის გამო ატეხილი უთანხმოებაა. ყველას ჰსურს თავის დუქნის წინ გამართოს ბაზრობა, რაც სრულიად მოუხერხებელია. საჭიროა, რომ სამტრედიამ იმისთანა ადგილი შეიძინოს, სადაც უნდა იყოს მოთავსებული სასწორიც, რომელიც ქალაქის საკუთრებას უნდა შეადგენდეს, ასე რომ, ადგილობრივ გამყიდველს უფლება არა ჰქონდეს სასწორის მახლობლად დუქნების აშენებისა, როგორც ზოგიერთები ჰფიქრობენ. რასაკვირველია, ადგილობრივი პოლიცია ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს მოვაჭრეთა შორის უსიამოვნებას და იზრუნებს მათ შორის მშვიდობიანობის დამყარებისათვის. ჩვენ ჩვენის მხრით ვურჩევთ, პირადს ინტერესებს ნუ დაემონება თითოეული მათგანი, არამედ საზოგადო სარგებლობას მიჰხედონ.

ეხლა შევეხები იმას, თუ როგორ მიდის სწავლა-განათლების საქმე სამტრედიაში. არა მგონია სხვა დაბებშიაც ჰსუფევდეს ისეთი გულცივობა სწავლა-განათლების მიმართ, როგორც აქ არის. მხოლოდ წელს შეგვიძლიან ვუსაყვედუროთ სიღარიბეს და, რაც შეეხება წარსულს წლებს, იმოდენად იყო გაძლიერებული ვაჭრობა, რომ საშუალების უქონლობით არავის არ შეუძლიან თავი გაიმართლოს. წრევანდლამდე აქ ჰბუტავდა ერთი სამრევლო სასწავლებელი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლის მაგივრად ერთ-ორს კაცს იშოვნიან, ხელს მოაწერინებენ ჩუმად სოფლის მაგივრად, სოფლის უფროსი ხელს მოაწერს და ბეჭედს დაჰკრავს და სხვა რაღა უნდა, წარადგენს, სადაც ჯერ არს, და მიიღებს ნებას.

კვირა უქმე დღეს რომ მაინც დაკეტილი იყოს დუქნები, კიდევ მადლობა ღმერთს, ბევრჯელ სთხოვეს ეკკლესიის კრებულმა, კვირა უქმე დღით დაეკეტნათ, მაგრამ არ გაუგონეს, მიკიტნებმა: კვირა უქმე დღეს კი როცა საქმე არა აქვთ დილიდგან მოკიდებული საღამომდის დუქნებს შესცქერიან, ზოგი ითვრებიან და ასტყდება ხოლმე ერთი ჩხუბი და აყალმაყალი ზოგი მთვრალი მიდის ცოლშვილში და ახლა იქ ასტეხვს კიდევ წიოკობას. ცოლ-შვილი მშიერი უყრია და თითონ დუქანში ითრობა, ფული აქვს თუ არა, ამას მიკიტანი არა ჰკითხავს, შემოდგომაზედ ხომ ექმნება და იმათაც ის უნდათ: ერთი ორად წაართმევენ. საჩივარი ხომ არ უნდა, მოვა ვადა და რთველი თუ არა, შეიყრებიან ერთად მიკიტნები, მიადგებიან კარებზედ და ძალათი ართმევენ. ვისთან იჩივლებს, მოსამართლე თითონ მიკიტანია და რა იქმნება?..

აი ამ მწუხარებაში ვართ ამათგან და ვერა მოგვიხერხებია-რა. ნუ თუ არავინ გაგვიკითხავს და წყალობის თვალით არავინ შემოგვხედავს?!

გლდანელი

წერილი სტამბოლიდან

ისევ მიწის-ძვრის შესახებ

სამშაბათს, 28 ივნისს, პირველი საათის მეოცე წუთს, ნაშუადღევს, ერთის წუთის განმავლობაში ორჯელ იძვრა მიწა აქ: პირველმა გასტანა 13 წამს და მეორემ ხუთ წამამდის. პირველი თუმცა უფრო ხანგრძლივი იყო მეორეზედ, მხოლოდ მეორე უფრო ძლიერი იყო. მთელის სტამბოლის მცხოვრებნი ფეხზედ დადგნენ და ქუჩებს მოედვნენ. დუქნები, კანტორები, მაღაზიები, სასამართლოები, ბანკები და ყველა საზოგადო თუ კერძო დაწესებულება დაცალიერდა. ზოგი ფეხშიშველი, ზოგი უქუდოდ და ბევრი მანდილოსანიც ადამის ტანისამოსით ქუჩაში გარბოდნენ. ტირილი, ყვირილი და კივილი ყურთასმენას აყრუებდა: „გვიშველეთ, ვიღუპებით!“ ბევრი გულ-წასული იყო, ზოგი შეშლილსავით თავიდან თმებს იგლეჯდა. ისე აირია ხალხი, რომ ერთმანეთი ფეხით გასთელეს. ამ ერთ ნაწილში რამდენიმე სახლი ჩაიქცა, უფრო-კი ძველები და ბევრიც მოჰყვა ქვეშ. ყველას ისე ეგონა, მარტო აქ, ამ ნაწილში, „გალატაში“, მოხდა და ეს იმისი ბრალია, რომ ნავთსადგურს (კეს) აკეთებენო. აქ აკეთებენ ნავთსადგურს, თხუთმეტს საჟენზე ზღვა ამოაშრეს და აუარებელი სილა ქვა დაჰყარეს. ყველას ამის ბრალი ეგონა ეხლანდელი მიწის ძვრა. მხოლოდ ცოტახნის შემდეგ მოვიდა დეპეშები სხვა-და-სხვა ქალაქ-სოფლებიდგანაც, რომ იქაც ყოფილიყო მიწის-ძვრა, ისეც აღელვებული ხალხი ამ ამბავმა უფრო აალელვა. დაიცალა სახლები, დაიკეტა ყოველივე სავაჭრო ადგილები და მიაწვა ხალხი ბაღებს, ცალიერ ადგილებს და ზღვას.

ზღვაც საშინლად აიმღვრა, ხომალდები ლამის ლუზიანად მოიტაცოს. სწორედ მიწის-ძვრის დროს მყვინთავი-კაცი იყო ჩაშვებული ზღვაში და პრისტანის ქვებს ასწორებდა. ამ დროს თურმე უცებ აიმღვრა ქვიშა და ცხვირ-პირში შეეყარა. ისიც შეშინდა და გასწია საცნობ ბაწარს, ამოიყვანეს ზემოდ. ხომალდებზედ ამ დროს საჭმელსა სჭამდნენ, სუფრა ისეთ ნაირად აირია, რომ თეფშები ძირს გადმოცვივდა..

სტამბოლის ერთი საუკეთესო ნაწილთაგანი ძალიან დაზიანდა; დახურული ბაზრისა ბეზისტანის უმეტესი ნაწილი ჩაინგრა, როგორც აქაური ცნობები და გაზეთები ამბობენ ოთხმოცი კაცი ერთ ადგილას მარტო სტამბოლში მოჰყვა ქვეშ და შვიდასამდე დაშავდა. თითქმის ყველა ქვითკირის შენობა დაიბზარა და ისე დაშავდა, რომ შიგ დგომა საშიშია. აქაური მშვენიერი სასახლე „დოლმაბახჩა სარაის“ დიდი დარბაზი შუაზედ გასქდა. ყველა სახელმწიფო შენობები, როგორც სამხედრო სამინისტრო და საყოველთაო სამინისტრო—„სუბლიან პორტი“ ისე ყაზარმები დიდად დაშავდა, ბევრი ხალხია მკვდარი, ბევრი დაშავებული.

საშინელი შიშის ზარი დაეცა ყველას. მთელის სტამბოლის მცხოვრებლებმა, ვისაც ქვითკირიანი სადგომი ჰქონდათ დასცალეს და გაიხიზნენ ბაღებში და მინდვრებში, ყოველივე საქმე შეჩერებულია. სამშაფათიდგან ოთხშაფათს პირველ საათამდე ფოსტა და ტელეგრაფები დაკეტილი იყო. ამ დროის განმავლობაში ოთხჯერ კიდევ იძრა მიწა, მხოლოდ სუსტად. ხუთშაბათს დილიდგან ნელ-ნელა ხალხი უკან დაბრუნდა, ზოგი სავაჭრო ადგილებიც გაიღო და ცოტა სიმშვიდე ჩამოვარდა, ყველა ერთმანეთს ულოცავდა გადარჩენას,—საათის ოთხი სრულდებოდა ნაშუადღევისა, რომ ერთბაშად ისევ გაისმა გრგვინვა ორჯელ ზედი-ზედ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე პირველად, მხოლოდ ისე ძლიერად კი არა. თუმცა ეს მიწის ძვრა, როგორც ამბობენ, სუსტი იყო, მხოლოდ უბედურება-კი მეტი მოახდინა, ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ უწინდელის მიწის ძვრის გამო ბევრი სახლი იყო დაზიანებული და ეხლა თუმცა ისე მძლავრად არ იძრა მიწა, მაგრამ ერთხელვე დაზიანებული სახლები ადვილად ჩაინგრაო.

ამ მეორე შემთხვევამ უფრო დიდი ზარალი მისცა აქაურობას. სტამბოლის რამდენიმე ნაწილი კიდეც ჩაინგრა და ბევრი მოიტანა ქვეშ. სხვა ადგილებშიც ბევრ ქვითკირის უწინ დაზიანებული სახლები დაინგრა. ეხლა-კი სრულებით დაცარიელდა მთელი სტამბოლი. ყველა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბნი მოაწვნენ ბაღებსა და მინდვრებსა აღარ არის ტევა ბაღებსა და სხვა ცარიელს ადგილებში. აქაური ახლო-მახლო სოფლები, სანსტეფანო, ქუჩუკ-ჩეგმეჯე, პრინცის კუნძულები და ბოსფორის ბევრი ნაწილიც დიდად დაზიანდა.

აქ არინკიპოში ერთი საზარელი სურათი ვნახე—ერთ დედ-მამას შვილები წამოეყვანათ საზაფხულოდ, რომ ბავშვები კარგად გამხდარიყვნენ, თურმე ცოტა უქეიფობდნენ. ამ დროს, როცა ეს მიწის ძვრა მოხდა, ბავშვები—ქალ-ვაჟი (ქალი ასე თერთმეტის წლისაა და ვაჟიც იმაზედ უმცროსი) ეზოში თამაშობდნენ, სახლის ერთი ნაწილი ჩამოინგრა, დაეცა საცოდავ გოგოს და იქვე დაალევინა სული და ვაჟიც საშინლად დაშავა. ვერ წარმოიდგენთ იმათ წვალებასა და ტირილს. ერთ ამ კუნძულთაგანში, ხალკში, ბევრი სახლი დაიქცა და ბევრი ადამიანიც იმსხვერპლა. სხვათა შორის ძველის ბერძნების სასწავლებლის ერთი ნაწილი ჩაიქცა. ამას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე იძრა მიწა, მაგრამ ძალიან სუსტად.

დღეს მეშვიდე დღეა, რაც პირველად მიწა იძრა, მხოლოდ ხალხი თავ-თავიანთ სახლში დაბრუნებას მაინც ვერა ჰბედავს. ხმა დადის, კიდევ უნდა იძრას მიწაო. ზოგი ამბობს ორმოც დღემდის გასწევსო, ზოგი—ოც დღემდისაო და კიდევ ვინ იცის ზოგი რას ამბობს. ბევრი მეჩეთი დაშავდა მინარეთები ჩამოინგრა. სწორედ ამ დროს მოლები იზანს კითხულობდნენ. ერთი მოლა მინარეთიდგან გადმოვარდა და ჯამის (მეჩეთის) სახურავზედ შერჩა ცოცხალი, ბევრი-კი ძირს ჩამოვარდა და დაიმტვრა. სულთანის მეიზნე ამ დროს იზანს კითხულობდა, თითონ სულთანიც თურმე იქვე მახლობლად იყო და ყურს უგდებდა. როცა მიწა იძრა, მოლას შეეშინდა და ხმა შესწყვიტა, მაშინ სულთანმა უთხრა: „გაათავე, გაათავე, ნუ შესწყვეტო“ და თითონ უკანა კარებიდგან ბაღში გავიდა. როგორც სულთანი, ისე აქაური ყველა გაზეთები ურჩევენ ხალხს: „საქმეს ნუ დასტოვებთ, დუქნები დაალეთ, სახლებში დაბრუნდით, ღმერთს რაცა ჰსურს, ის იქნებაო. სად გაექცევით წერასაო“, მაგრამ ხალხი ყურს არ უგდებს.

ბაღებში პატარ-პატარა სახლუკებს აშენებენ, გაცხარებული ფაცი-ფუცია, ყველა ადგილის შოვნას სცდილობს. თუ ასე გასწია ამ პატარ-პატარა მიწის ძვრამ, თქვენი მტერი აქაურობა სულ გაღატაკდება, საქმე აღარაფერია აღებ-მიცემას აღარავინ დასდევს. ეკკლესიებში ზარის რეკვაა გაცხარებული, მაგრამ შიგ არავინ შედის, რადგან დაშავებულია და ეშინიანთ, არ ჩაინგრესო. წმიდა სოფიოს დიდი ტაძარი (აგია სოფია) შუაზედ გასკდა, კარები დაჰკეტეს, შიგ არავის უშვებენ. სულთანის სასახლე-კი, საცა იგი ეხლა სცხოვრებს, უვნებლად გადარჩა.

იასე რაჭველი

უცხოეთი

ლომბროზოს აზრი კაზერიოს შესახებ

ეს არის ეხლა დაიბეჭდა იტალიის გამოჩენილის ანტროპოლოგის ლომბროზოს წერილი კაზერიოს შესახებ. იგი სწერს, რომ კაზერიო ფანატიზმით სავსე და უგუნურად გამბედავი საპოლიტიკო დამნაშავეა. მისი მამა სიყმაწვილეშივე სულით ავადმყოფობდა; ასეთივე სენი სჭირდათ იმის ორს ბიძას, რომელნიც ეხლაც მალებელლოს საგიჟეთში იმყოფებიან. ეს სენი საზოგადოდ ძალიან გავრცელებულია კაზერიოს სამშობლოში, მოტტა ვისკონტს.

კაზერიოს ლოყის ძვლები დიდად გამოშვერილი აქვს, თმა ცოტა და დიდრონი ყურები ასხია. თვალი ნაზი და მშვიდობიანი აქვს, თავის ქალა—დიდად მშვენიერი სიმრგვალის მხრივ, შუბლი—განიერი. იმ ცნობათაგან, რომელიც ხელთა მაქვს, სჩანს, რომ იგი უფრო პოლიტიკის დამნაშავეა. ამას გარდა იმას ძალიან უყვარდა თურმე მოგზაურობა და სურვილი ჰქონდა მამის სახლის დატოვებისა, რაც ასე იშვიათია გლეხთა შორის. კაზერიო სასწავლებელშიაც დადიოდა, მაგრამ ვერა ისწავლა-რა; ჩუმი, გულში ჩახვეული ხასიათი აქვს და კაზერიო მხიარული არავის უნახავს. ყოველთვის მორცხვი იყო თურმე, ღვთის მოსავი, და

მელშიაც სიღარიბისა გამო სწავლა არ იყო დამყარებული კარგს ნიადაგზედ. მე ვურჩიე საზოგადოებას განეკარგებინა ამ სასწავლებლის მდგომარეობა და განაჩენიც დაედგინათ მისის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ იმათი სიტყვიერი დაპირება დაპირებადვე დარჩა და სასწავლებელმა სული განუტევა.

წარსულ წლებში აღძრულ იქმნა ჩვენ მიერ აზრი სამტრედიაში საქალებო სასწავლებელის დაარსებისა, რაზედაც საზოგადოებამ, თუმცა სრულიად უარი არ უთქვამს, მაგრამ ხან წარმოადგინა მიზეზად მოსავალის ნაკლებობა, ხან ხოლერა და ხან სხვა, რის გამოც ჩვენი სურვილი არ შესრულდა. წელს თებერვალში კონსტანტინე მკურნალის თაოსნობით დაარსდა აქ ერთ კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სწავლა დაიწყო ჩვეულებრივის ლოცვა კურთხევის შესრულებით და ადგილობრივის დირექტორის თანდასწრებით, რომელმაც მადლობა უძღვნა სასწავლებლის დამაარსებელთ, სთხოვა შემდეგისათვის მის შესანახავად საშუალების აღმოჩენა და ორ კლასიანად გადაკეთება. ამ თავით სასწავლებლის არსებობისათვის საზოგადოებამ დაავალა ყოველ მოსწავლეს მშობლებს, რომ წელიწადში სწავლის ფასად ხუთ-ხუთი მანეთი გადაეხადათ. დაინიშნა მასწავლებლად ინსტიტუტში სწავლა-დამთავრებული ყმაწვილი გ. ხომტარია. როგორც-კი მოსთხოვა ბავშვებს სწავლის ფული, ისინი წავიდ-წამოვიდნენ აქეთ-იქით. თუ რიგიანი წეს-რიგი არ იქმნა შემოღებული ამ სასწავლებელში და საერთო განაჩენით არ მიენიჭა შესანახავი ხარჯი, შენი მტერია ისე მიიფუშტოს, როგორც სამრევლო სასწავლებელს დაემართა. იმედი არა მაქვს, რომ ეს სასწავლებელი რიგიანად მოეწყოს, რადგან სამტრედიელებს კარგი მოფიქრება სჭირიათ სახელოსნო სასწავლებლისთვის, რომლის დაარსება უკვე გადუწყვეტია პატივცემულს გენერალს შალიკოვს. რასაკვირველია, ეს სასწავლებელი არ არის საკმაო იმათთვის, რადგან იქ მიიღებენ მხოლოდ სოფლის სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ ყმაწვილებს. როდესაც სამტრედიელებს ვახსენებ, ვგულისხმობ ოთხას კომლ ადამიანს კულაშის საზოგადოებისას. ჩვენ თავიდანვე იმ აზრისა ვიყავით და ვართ, რომ შეუერთდენ ეს სასწავლებლები ერთმანეთს, მოხერხებულ ალაგას აგონ ნორმალური სასწავლებლისათვის ახალი შენობა. თუ ამ სასწავლებელის მიზეზით დანაწილებული კულაშის საზოგადოება ხელახლად შეერთდება, მაშინ იმედით უნდა ვიქონიოთ, რომ არამც თუ სასწავლებლის საქმე დაწინაურდება, არამედ ბევრი სხვა კარგი საქმეც თავს იჩენს ჩვენ სოფელში და ადვილად შეეძლებათ ძლევა იმ მოწინააღმდეგეთა, რომელნიც თავს აბეზრებენ სამხედრო გუბერნატორს, რომ უსათუოდ სახელოსნო სასწავლებელი გაუსხლტეს ხელიდგან სამტრედიას. სამტრედია უნდა ითვლებოდეს საშუალ ალაგად სამისავე მაზრისათვის, რომლის სახელობაზედ უმაღლესად ბოძებული არის ეს სასწავლებელი. ყველამ კარგად იცის, რომ უმთავრესი იარაღი გონების განვითარებისა, გონების სიბნელის წყვდიადიდგან გამოფხიზლებისა ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოდ კარგის წიგნების კითხვაა. ჩვენც გამოგვიჩნდა ერთი კეთილი ახალგაზდა კაცი პ. გ—ლი, რომელმაც დაგვიარსა წიგნთ-საცავი სამკითხველოთი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში საჭიროა ნივთიერად დახმარება საზოგადოების მხრივ, მაგრამ აქაც დიდს გულციობას ვხედავთ, ხუთიოდე კაცის გარდა, რომელთაც გულ-მტკივნეულობა გამოიჩინეს თავიანთის წვლილის შემოტანით. ნუ თუ სამარცხვინო არ არის, რომ ოცისა და ოც-და-ათის ვერსის მანძილზედ ერთი წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს მეტი არ იყოს და თანაგრძნობას ვერა ჰპოულობდეს? სად არიან სოფლის მასწავლებელნი, ლამპარნი სწავლა-განათლებისა, რომელნიც მიმალულან და არც-კი იციან სამტრედიაში არსებობს თუ არა წიგნთ-საცავი სამკითხველოთი? ნუ თუ ისინი არ არიან ვალდებულნი, რაც ღონე აქვთ, იღონონ და თანაგრძნობა აღმოუჩინონ ამ კეთილ საქმეს? სად არიან ახალნი მოძღვარნი—სემინარიელნი, სანთელნი და მარილნი თავიანთის სამრევლოებისანი, რომ ცოტაოდენის წვლილის შემოტანით გაამაგრონ ეს სასარგებლო დაწესებულება? მე ვამბობ იმ მასწავლებელთა და სულიერ მოძღვართა შესახებ, რომელნიც სამტრედიის მახლობლად ჰბინადრობენ. სად არიან უმაღლესის წოდებისანიც ორივე სქესისანი, რომელთაც მამა-პაპის ანდერძი დაჰვიწყებიათ და უვიცობის წყვდიადში მიმალულან? სად არიან ის შეძლებულნი მოვაჭრენი, რომელნიც არც კი არჩევენ თვალის წინ სულიერ სკოლის არსებობას? თუ დროზედ არ მივიწვდინეთ ხელი ამ სულიერ-გონებით სიმდიდრის შეძენის ტაძარს, გაჰქრება და სამარცხვინოა ჩვენთვის. ამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საჭირო არ არის სწავლა განათლების შესახებ ბევრი ლაპარაკი, რადგან ეს ყველას კარგად აქვს შეგნებული; მხოლოდ სამტრედიელებს-კი ვურჩევ ეხლავე გაითვალისწინონ თავიანთის შვილების მომავალი ბედ-იღბალი, რომელიც სწავლა-განათლებაზედ არის დამყარებული და არა მარტო ვაჭრობაზედ. ვისურვებ, რომ სწავლა-განათლების საქმეს ფეხი მტკიცედ მოეკიდებინოს და ამ მხრით სამტრედიის სხვა დაბებისათვის მაგალითი მიეცეს.

მღვდელ-ბლაღოჩინი
ერმალოზ კანდელაკი

არა ერთხელ გამოსთქვა სურვილი სემინარიაში შესვლისა, რომ მღვდელი და მოციქული შექმნილიყო. ყოველთვის თავ-დაჭერილი იყო: არა სვამდა, ბანქოს არა თამაშობდა, ქალებს ერიდებოდა; ყოველთვის ბევრსა ჰკითხულობდა და სიამოვნებით ერეოდა ამხანაგთა ბაასსა და კამათში.

კაზერიოს, იმის აზრით, გაზვიადებული იდეალები ჰქონდა, მაგრამ ეხლა სხვა დროა და უწინ თუ იმისთანა ყმაწვილი კაცი, 17 წლისა, მწირი და მისსიონერი შეიქმნებოდა, ეხლა იგი ანარხისტთა ქადაგებას ისმენს და მისი სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა ეკონომიურ ფანატიკოსობად იცვლება, ანარხიზმი ჰხდება.

განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ იმის გვარეულობაში სულით ავადმყოფობა შთამომავლობითვე არსებულა. ეს სენი კაზერიოს საშინელ დამნაშავედა ჰქმნის, ამ მშვიდობიანს, კეთილს შვილსა, ძმასა და მეგობარს მხეცადა ჰქმნის, როდესაც ანარხიზმის შესახებ ლაპარაკობს იგი. იმისი მეგობრები ამბობენ, რომ იგი პატიოსანი, მორცხვი, კეთილი ბიჭი იყოო, მაგრამ საშინელი შეხედულობა ჰქონდა, როდესაც იმის წინაშე ვინმე ანარხიზმს ცუდად მოიხსენებდა ხოლმეო.

ერთს წერილში, რომელიც ლომბროზოს უნახავს, კაზერიო დიდის სიყვარულითა და ერთგულებით იხსენიებს თავის მშობლებს და არა ჰფარავს, რომ კერძო ცხოვრებაში ამისთანა უსამართლო საქციელს ვერასოდეს ვერ ჩავიდენდიო, მაგრამ იქავე დასძენს: მაინც-კი, როდესაც დრო დადგება, მე უფრო ძლიერ ვიმოქმედებ, ვიდრე ჩემი თანამოაზრენი ჰმოქმედებენო“.

აი კიდევ ერთი საბუთი მისის ამ მხრივ სნეულებისა: სასამართლოს გამომძიებელმა სთხოვა, მაჩვენე, როგორ დაჰკარით ხანჯალი პრეზიდენტს კარნოსაო. კიზერიომ უარი არ უთხრა, მაგრამ ამ დროს თვალები სისხლით ავსო და ისე აკანკალდა, რომ გამომძიებელს შეეშინდა, საჩქაროდ შეაყენა და შესძახა: „კმარა! თქვენ, ადამიანი-კი არა, საშინელება ყოფილხართო!“ კაზერიომ უპასუხა: „ეს კიდევ რა არის! აბა სასამართლოში და ან სარჩობელაზედა მნახეთ! ახ, განსაკუთრებით სარჩობელაზედ ვიქნები საუცხოო სანახავი!“ და გადიხარხარა. ხოლო ხუთის წუთის შემდეგ იგი ფიზიკურად და ზნეობრივად მოეშვა ხელები უძლურად ჩამოჰყარა, დაჯდა თავისს საწოლზედ და მაგარის ძილით დაეძინა. ერთს საათს შემდეგ უცბად გამოიღვიძა, ორივე ხელი თავზედ იტაცა და საპატიმროს ზედამხედველსა სთხოვა, მაგარი სასმელი რამ მომიტანეთო.

ეს უეცარი ძილი, უეცრად დაუძლურებაო, ამბობს დასასრულ ლომბროზო, აშკარა საბუთია იმისის სულით ავადმყოფობისა, ბნედისა. იგი ნამდვილი საპოლიტიკო დამნაშავეა, მომქმედი უთანამოზიარებოდ, მაგრამ წაქეზებისა გამო-კი, და არცა ჰზრუნავს იგი, რა მოჰყვება იმის დანაშაულს. ეს კიდევ ერთი მაგალითი იმისი, რომ საპოლიტიკო ფანატიკოსობა ხშირად უბრალო გულ-კეთილს ადამიანს საზიზღარ კაცის-მკვლელად გადააქცევს ხოლმე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ამას წინად თქვენს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული იყო იმათი სია, რომელთაც გამოიღეს სხვა-და-სხვა გვარი შემოწირულებანი—თუ ფულად და თუ მასალით,—„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბათუმის სკოლის შენობის ასაგებად. მას შემდეგ ამავე საგნის სასარგებლოდ შემოსწირეს შემდეგ ამათაც, რომელთა სიას—გიგზავნით რა ამასთანავე, გთხოვთ უმორჩილესად გამოაქვეყნოთ იგი თქვენის გაზეთის უმახლობელსს №-ში.

მახ. ნანეიშვილმა 2 მან., ბეს. და გერ. კალანდამეებმა 25 მან., სოლ. აბდუშელიშვილმა 50 მან., ბატა თოფურიძემ 25 მან., თ. პეტ. ნაკაშიძემ (ასფალტი) 100 მან., ალ. ლოლუამ 20 მან., გ. გიგიშვილმა 10 მ., იკ. ალ. ხუდადოვმა 10 მან., გურულის მუზიკას ხოროსაგან გამართულ კონცერტიდამ 163 მან., გ. ბერიძემ 10 მან., პ. მჭედლიშვილმა 1½ საჟ. დამტვრეული ქვა. ბეგლ. ყარაბეგოვმა 5 მან., ნესტ. პეტრაშვილმა 25 მან., რ. ანდრონიკაშვილის აქაურმა ღვინის სარდაფმა 25 მან., ასლ. მდივანმა 50 მან., ბეჟ. საბახტარიშვილმა 25 მან., ხანმა პიროვ 25 მან., დ. ზ. სარაჯიშვილმა 300 მან., ნ. ი. არჯევანიძემ 20 მან. სულ ფულად 890 მან.

კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ ბეთანელი.

საქმის მწარმოებელი ივ. მესხი.

Დ Ე Პ Ე Შ Ა

13 ივლისი

ᲨᲐᲜᲮᲐᲘ. კორეს ლაშქარი წაქეზებული ჩინეთის ელჩის მიერ თავს დაესხა იაპონიის მეციხოვნეთა სეულში. მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნა.

მეორე დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონიის სამხედრო ხომალდმა დაჰლუპა ჩინეთის ტრანსპორტის გემი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. მემკვიდრე ცესარევიჩი ღამის 11 საათზე გამოეთხოვა დედოფალს და სამ საათზე დილით გამოემგზავრა „Полярная Звѣзда“-თი.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ივლისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,42	7,44	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	148	149	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	240¾
—მეორისა	225 ,,	— ,,	— ,,
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190½
კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	101¾	— ,,
5%	— ,,	101	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	102	— ,,
5%.	— ,,	101	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	99⅛

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

Დ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲡ. თქვენ მიერ გამოგზავნილი ნათარგმნი თხზულება ბროსესი: „შეხედულება საქართველოს ისტორიასა და მწერლობაზე“ ფრიად საყურადღებოა, მაგრამ გაზეთის სიმცირე ნებას არ გვაძლევს დავბეჭდოთ იგი და თუ თქვენი ნებაც იქნება, ჟურნალ „მოამბე“-ს გადავცემთ, ვინაიდგან იგი უფრო საჟურნალო მასალაა.

* * *

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ბ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. შრიოტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურზოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ГЛАВ. СКЛАДЪ, МОСКВА
У Л. Я СТОЛКИНДЪ
КРУПИНКИ ДЛЯ УНИЧТОЖЕНІЯ КРЫСЪ И МЫШЕЙ
ПРОВ. ФРОНШТЕЙНЪ
ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ по 30 и 50 к.
ОСТЕРЕГАТСЯ ПОДДѢЛОКЪ
ФУРКАСОВС. ПЕР. Д. ОБИДИНОЙ

ტფილისში ა. არისტაკოვის საათფიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობსაის“ წყობში.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

ᲗᲮᲖ. Დ—ᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

Б.М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვერცხლისა

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი


ტფილ. გამოფენა.



ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ.
ზეთიანის სალებავებისა (კრასკების)
ა. ა. თუთაევისა
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲘᲐᲠᲛᲣᲙᲐᲖᲔᲓ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინას შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება სალებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს სალებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრად, მახვილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-მედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიაკის ფერად აკვანის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას,

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას ხელოსნებსაც გუშიკნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

ალალო თუთაევი

დამზღვევი საზოგადოება
„ᲘᲐᲧᲝᲠᲘ“
(დუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მას მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტს ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—28)



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ᲢᲣᲠᲑᲘᲜᲔᲑᲘ

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рот.

Дозволено цензурою Тифлисъ, 13-го Іюля 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.